ჰადისებს ვსწავლობ

# ავადმყოფებს არ ვივიწყებთ



ავადმყოფები მოინახულეთ. (ჰადისი შარიფი)

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები

# ჰადისებს ვსწავლობ

# ავადმყოფებს არ ვივიწყებთ




ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)



ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი

გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი





გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფის და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდებზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები ჩვენი შუამავლის ნათქვამი ლამაზი და აღმზრდელობითი ხასიათის სიტყვებია.



ზეინეფი და თარიქი ყოველ კვირას თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს მისალმებით მოიხსენიებენ, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ.

ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან, შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასე მათ სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.





ზენიტი ფანჯრიდან შემოსულმა მზის სხივებმა გამოაღვიძა.

–ძმაო! ადექი, ვისაუზმოთ. შემდეგ კი სკეიცბორდით გავისეირნოთ, მიმართა თარიქს.

თარიქმა არ უპასუხა.



ზენიტი თარიქთან ახლოს მივიდა.

–მაიძულებ გაღიცინებით გაგაღვიძო!

მივიდა და ყელზე დაუწყო ღიცინი.

თარიქმა აჰ, წარმოთქვა და შეშინებულმა გაიღვიძა, მაგრამ თვალებს ვერ ახელდა.





ზეინეფი სწრაფად გაიქცა მშობლების ოთახისკენ და კარზე დააკაკუნა.



# –დედა! მამა!

თარიქი მგონი ავადაა.
შეგიძლიათ მოხვიდეთ?

ბატონი მეჰმეთი და ქალბატონი მელექი აღელვებულები გამოვიდნენ ოთახიდან და სასწრაფოდ გაემართნენ ბავშვების ოთახისკენ.



შეშინებული თარიქი გაუგებრად საუბრობდა.

ზეინეფმა მოუსმინა. თარიქი ჩურჩულებდა:
–სკეიტბორდი, ჩემი სკეიტბორდი... ზეინეფ, ჩემი სკეიტბორდი დავკარგე!







შეშინებულმა მშობლებმა თარიქი ექიმთან წაიყვანეს.
ზეინეფი ბებიასა და ბაბუასთან ერთად სახლში დარჩა, მაგრამ თარიქზე ფიქრობდა და მის დაბრუნებას სულმოუთქმელი ელოდებოდა. მალე საავადმყოფოდან მშობლები დაბრუნდნენ. მამამ თქვა,



რომ თარიქი გაციებულა და ექიმმა მას წამლები გამოუწერა, თან დაარიგა, რომ ცოტა ხნით უნდა დაწვეს და დაისვენოს.



ზეინეფს ძალიან ეწყინა ძმის ავადმყოფობა. ძმას მარტო არ ტოვებდა. ხშირად ეკითხებოდა, ხომ არაფერი სჭირდებოდა. ცდილობდა როგორმე გაერთო.



**ბოლოს გადაწყვიტა ძმისთვის ზღაპრები წაეკითხა.**

ზეინეფი ძმას ზღაპარს უკითხავდა.

ზღაპრის კითხვისას თარიქს ჩაეძინა.









ვიდრე თარიქს ეძინა, ზეინეფი ჰადისის ყუთთან მივიდა. აიღო ერთი ჰადისი და დედასთან მიიტანა.




## – დედა ჰადისს წამიკითხავ?

– საინტერესო ჰადისია, თქვა დედამ და კითხვა დაიწყო:

# ავადმყოფები მოინახულეთ!

იყო ჰადისის სათაური.

– ააა, თარიქის სანახავად ვინმე მოვა?

– რა თქმა უნდა პაცარავ, თქვა დედამ.





მართლაც, იმ დღეს მათი ნათესავები თარიქის სანახავად მოვიდნენ. მამიდამ თარიქს მაწვნის სოუსი მოუმზადა  და ნელ-ნელა აჭამა. ეს თარიქის ყველაზე საყვარელი სოუსი იყო.



ბიძამ კი თარიქს ახალი წიგნები მოუტანა. ამ წიგნებს თარიქს ხან მშობლები, ხან კი ზეინეფი უკითხავდა.





კარის ზარის ყოველ ხმაზე თარიქი ერთხა და იგივეს კითხულობდა,

## ˉდინ, დან, დონ!



–ზეინეფ ვინ მოვიდა?

–მამას აფთიაქიდან წამლები მოუტანია.

## ˉდინ, დან, დონ!

–ზეინეფ ვინ მოვიდა?

–მეზობელი.

## ˉდინ, დან, დონ!

–ზეინეფ! ვინ მოვიდა?

–დედა ბაზრიდან მოსულა.







ბოლოს ზეინეფმა ვეღარ მოითმინა:
– კარგი რა ძმაო, ვის ელოდები? ვინ მოვიდა, ვინ მოვიდაო, რომ მეკითხები.



– არავის! – უთხრა თარიქმა.
მომეწყინა და იმიტომ...

თარიქი თავისთვის ფიქრობდა:

ნეტა ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ ავად ვარ? ან იციან მაგრამ...



მეტი ფიქრი არ უნდოდა. მისი მეგობრები ალბათ არ მოინახულებდნენ.




muslim georgia

ამ დროს ოთახში დედა შევიდა.

თარიქს მიუბრუნდა და უთხრა:

–სახლის წინ მდებარე პარკში შენი მეგობრები დავინახე. შენ გიკითხეს.

და ვუთხარი, რომ ავად ხარ.

თარიქი აღელვებულა წამოდგა.



–ოსმანი... ოსმანიც პარკში იყო?

–დიახ, ისიც პარკში იყო– მიუგო დედამ.





ოსმანი თარიქის ახლო მეგობარი იყო.
ოსმანმა გაიგო ავად
რომ ვარ, –ფიქრობდა თარიქი და ეს
ფიქრები ტანჯავდა.
–ოსმანიც კი არ მოვიდა, –თქვა და საბანი
გადაიფარა.
დედამ საბანი ჩამოუწია,
–შენი მეგობრები ალბათ მოგვიანებით
მოვლენ, არ დამწუხრდე, უთხრა დედამ.
მოგვიანებით



## დინ, და,ნ დონ!

გაისმა ზარის ხმა, მაგრამ თარიქმა
თავი საბნიდან არც კი
წამოწია... აღარ
აინტერესებდა
ვინ მოვიდოდა.







ზეინეფმა ეს რომ დაინახა მაშინ მივხვდა, თუ რატომ კითხულობდა ყოველ ზარზე მისი ძმა, ვინ მოვიდათ. მიხვდა რომ თარიქი მეგობრებს ელოდებოდა.

გადაწყვიტა ძმის მეგობრებს დალაპარაკებოდა.

დედასთან მიირბინა და ნებართვა სთხოვა,



–დედიკო, შეიძლება პარკში წავიდე? ჩემი ძმის მეგობრებს ჩვენი შუამავლის ჰადისი მინდა წავუკითხო.

ქალბატონ მელექს გაეღიმა,

–კარგად მოგიფიქრებია ზეინეფ, რა თქმა უნდა შეგიძლია წახვიდე!

ზეინეფი პარკში ბავშვების სანახავად წავიდა.





თარიქის მეგობრები ჯერ კიდევ პარკში იყვნენ. ზეინეფს თარიქის ამბავი ჰკითხეს.



–წამლების მიღების შემდეგ მომჯობინდა, მაგრამ მოწყენილია, უთხრა ზეინეფმა.

–რატომ?

ზეინეფმა ქაღალდი გაუწოდა და უთხრა:

–ჩვენი შუამავლის ამ ჰადისით მიიღებთ პასუხს.

ბავშვებმა ჰადისი წაიკითხეს და შერცხვათ.



–როგორ ვერ მოვიფიქრეთ? თარიქი უნდა მოვინახულოთ. ახლავე წავიდეთ! –თქვეს მათ.







ბავშვებმა ზარი დარეკეს.

– დინ, დან, დონ!

თავის ოთახში მწოლიარე თარიქს ზარისთვის ყურადღება არ მიუქცევია, არც ბავშვების ფეხის ხმისთვის.

ერთ–ერთმა მეგობარმა თარიქს საბანი გადახადა.

– გამოჯანმრთელებას გისურვებ მეგობარო!

– წარმოთქვა თარიქის მეგობარმა.
თარიქმა ხმა იცნო.
– ოსმან! – თქვა და საბანი გადაიხადა.
ერენი და ბილალიც მოსულიყვნენ.
თარიქი მათ დანახვამ კიდევ უფრო გაახარა.











მეგობრების მონახულებამ
თარიქი გაამედნიერა.

**რა მაგარია! ჩემს ოჯახსაც და ჩემს მეგობრებსაც ძალიან ვუყვარვარ!**

გაიფიქრა მან.

ამ დროს ზეინეფმა ძმას ქაღალდი აჩვენა.

– ნახე, ამ კვირას ჩვენი ყუთიდან რომელი ჰადისი ამოვიდა! შენ რახან ავად იყავი, მე ამოვიღე. წაიკითხე! უთხრა ძმას.

თარიქმა ჰადისი წაიკითხა.

**მადლობა ჩემო საყვარელო შუამავალო!**

– აღმოხდა თარიქს.








მეგობრებო, ხომ არ გავიწყდებათ საყვარელი ადამიანების მონახულება, რომლებიც ავად არიან? მოდით, მათ გამოჯანმრთელების სასურველად ბარათი დავუმზადოთ.

### რა დაგვჭირდება?

- 2 განსხვავებული ფერის მუყაოს ქაღალდი
- ბაფთი ან ლენტი
- ფანქარი
- გამჭვირვალე სკოჩი
- წებო
- მაკრატელი

კვადრატის ფორმის მუყაოები გამოვჭრათ. ორ ნაწილად დავკეცოთ, სადაც გადავკეცავთ, ნახევარწრე დავხაზოთ. ნახაზს მივყვეთ მაკრატლით და გავჭრათ. ასე, მუყაოს ქაღალდების შუაში თითო ფანჯარას მივიღებთ.





წრის ფორმის მუყაოებისგან თითო გული გამოვჭრათ. ამ გულებს შორის ბაფთი ან ლენტი დავდოთ და დავაწებოთ. გულზე "გამოჯანმრთელებას გისურვებ" დავაწეროთ.



კვადრატის ფორმის მუყაოს ქაღალდებიდან ერთი ზედა, ხოლო მეორე ქვედა მხრიდან გავჭრათ.



იმ მუყაოზე, რომელიც ქვედა მხრიდან გავჭერით, სკოჩით გულის ლენტი მივამაგროთ. ბოლოს კი, მუყაოს ქაღალდები ერთმანეთში ჩავსვათ.

